ოლანი ბიწაძე, 23 წლის

598 91 29 08

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა (I კურსი)

bitsadzeolani@gmail.com

წვიმის წისქვილები

-ბოტასებით ზღვაში რომელი იდიოტი შედის?! ფუ, ამის!.. -ატალღებული ზღვა ვიღაცის სხეულს ამ ვიღაცის სიტყვებთან ერთად მიათრევდა. თავიდან ფრთხილად მიეპარა სხეულს, თითქოს მასთან ერთად აპირებდა მხარდამხარ ცურვას. მერე ცოტა ბიძგი მისცა, რამდენჯერმე ძლიერად გაუტყლაშუნა სახეში თავისი ქაფიანი ტალღა და ახლა ისე მიერეკებოდა წინ, როგორც დასჯილ ბავშვს, რომელიც დედას შინ დატუქსული მიჰყავს.

-...ნაპირიდან არ ვჩანვარ, თუ რა ხდება? რატომ არავინ მოდის? -ფიქრობდა ხმა სხეულის შიგნით და ხელებს წყლის ზედაპირზე გამალებით ატყაპუნებდა. ჰაერში აქნევას ვერ ბედავდა. ეგონა, თუ ცალი ხელით ცურვას შეწყვეტდა, მაშინვე ჩაიძირებოდა და მაშინ ყველაფერი დამთავრდებოდა. და მართალია, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდება მაშინ, როცა ყველაფერი მთავრდება, გაუცნობიერებლად მაინც ეშინოდა ამის. ამიტომაც ხელების მოსმას განარძობდა. არადა, სინამდვილეში, მისი დამსახურება ბევრი არაფერი იყო. მას შემდეგ, რაც ტალღებმა ზღვის სიღრმეში შეაგდეს, ზღვა ატრიალებდა თავის ჭკუაზე და იქით მიაქანებდა, საითაც მოუნდებოდა. -მიშველეეთ... -წამოიძახა ხმამ და როგორც კი პირი ოდნავ გააღო, ჩასაფრებულმა ზღვამ შიგ თავისი მარილიანი შხეფები ჩასჩრა. სხეულმა წამოახველა და მეტჯერ დაძახება აღარ უცდია. ყველაფერს აიტანდა, პირში ამ მარილიანი წყლის გარდა. ეზიზღებოდა ეს გემო. იმ გადაწყვეტილებაზე მეტადაც კი, რომელმაც უთენია დღეს ზღვაზე საცურაოდ წამოიყვანა. ცურვა მაინც სცოდნოდა!

-ყველაფერი ბოტასების ბრალია, -ფიქრობდა ხმა. -წყალმა ბოტასები დაამძიმა და მაგიტომ ვეღარ ვცურავ... თორე ხო გავიდოდი უკან... უკან სად? ნაპირი საითაა? ნაპირიდან დამინახავენ და ვინმე მიშველის... -ამაზე ფიქრს არ დაუმშვიდებია. პირიქით, ზღვის ხასიათი გადაედო. ღელავდა. იცოდა, რომ მისი ცურვას მიმსგავსებული მოძრაობები საკმარისი არ იქნებოდა ნაპირამდე მისაღწევად. უკვირდა, ან კი აქამდე როგორ არ ჩაიძირა. ამის გაფიქრება და იმის წარმოდგენა, რომ მართლა ჩაიძირა, ერთი იყო. წარმოიდგინა, როგორ მიდის ფსკერისკენ, თუმცა თვითონ ფსკერი არ დაუნახავს გონებაში. ალბათ თვალები დამეხუჭებაო, ფიქრობდა. სულ უკვირდა იმ ადამიანების, წყალქვეშ რომ თვალების გახელა შეუძლიათ. თვითონ ეს არასდროს გამოსდიოდა და საერთოდაც, ფსკერის რაღაცნაირად ეშინოდა. აკი, ბოტასებითაც იმიტომ შევიდა ზღვაში, რომ ასე ფსკერისგან თავს უფრო დაცულად გრძნობდა. -სრული იდიოტიზმი!.. -უხმოდ შეუყვირა თავს და მარჯვენა ხელი ტყლაშანით გადაატარა მისკენ მომავალ ტალღას. ეჩვენებოდა, რომ აქეთ ტალღები უფრო სუსტი იყო და ზოგადად, რაც უფრო

შორს შედიოდა ზღვაში, ზღვა მის მიმართ თითქოს უფრო შემწყნარებელი ხდებოდა. ეტყობა, დარწმუნებული იყო, რომ ვეღარსად გაექცეოდა.

-აუჰ, დავიღალე... -თითქოს მარტო ბოტასები კი არა, მთელი მისი სხეული დამძიმდა. გარშემო წყლის მეტს ვერაფერს ხედავდა. მანამდე ყველაფერი გაცილებით იოლი იყო, სანამ ვარდისფერ გასაბერ საბავშვო სამაშველო რგოლს მოსდევდა. -მოვინდომე გმირობა და თავგადასავალი, -შეუძახა თავს. -რა მექაჩებოდა, -არადა ბავშვი იჭაჭებოდა ტირილით, ჩემი იხვი მინდაო. თვითონ რა უნდოდა დილაუთენია იმ ბავშვს ზღვაზე, ბებიამისს ჭკუა სად ჰქონდა. ბებიამისმა დაანამუსა ზუსტად თავისი ასაწყლებული თვალებით და მანაც, სხვა რომ ვერავინ დაინახა გარშემო, ვისაც თავის მოვალეობას გადააბრალებდა, გმირულად შეცურა ზღვაში. გეგონება, ცურვა იცოდა!

თავიდან ბავშვის ტირილი ესმოდა და ბებიის ნათქვამი:

-ჩუ, ბებო, კეთილი ძია ახლავე უკან მოგიყვანს იხვს, -საიდან მოიტანა ეს ,,ძიაო“ ბრაზობდა, მაგრამ მერე ეს სულ გადაავიწყდა, მერე, როცა აღარც ხმები ესმოდა და ვარდისფერ იხვსაც იმდენად დაშორდა, რომ იხვადაც კი ვეღარ აღიქვამდა.

იხვის დაბრუნება სულაც არ აღმოჩნდა ისეთი მარტივი, როგორც სოფლის მდინარეზე ბავშვებისთვის მდინარის წართმეული ჩუსტების დაბრუნება. თითქოს ის მართლა მისი თავგადასავალი იყო, ეს კი ვიღაც სხვისი. მაგრამ ვინ სხვის? იქნებ, გასაბერი იხვის, რომელმაც თავს გაქცევით უშველა. აკი, სოფელში უცებ შევიდოდა ხოლმე მდინარეში, ცურვა არც უწევდა, სადმე ქვას გამოედებოდა ხოლმე მოტაცებული ჩუსტი, ის მივიდოდა, აიღებდა, მერე ატირებულ პატარას მიუტანდა და გმირად იქცეოდა თანატოლების თუ არა, პატარების თვალში მაინც. ახლაც იმიტომ შეცურა ზღვაში უყოყმანოდ, რომ გმირად ყოფნა მოენატრა. აბა, იმას გმირობაში არავინ უთვლიდა, კაფეში შემოსული კლიენტებისთვის რომ მიჰქონდა შეკვეთილი კერძები. ეს შენი სამსახურეობრივი მოვალეობააო, ეუბნებოდა უფროსი. უფროსი რა, მასზე უმცროსი ბიჭი იყო, მაგრამ მასზე დიდი ხელფასით და მოთმინებით. აბა, რამ გააძლებინა ამ ჯოჯოხეთშიო, სულ უკვირდა ხოლმე. რომ გაძლო, ალბათ ამიტომაც დააწინაურესო. თვითონ სულ უნდოდა სამსახურიდან წამოსვა. მაგრამ არ მოდიოდა, სანამ ახალს არაფერს ნახავდა და რადგან ახალს არაფერს ეძებდა, დროებით ეს საკითხიც ისე შეატოვა განგებას, როგორც ვარდისფერი იხვი, რომელმაც ზღვაში შემოიტყუა და მერე სადღაც გაქრა.

-მგონი, მართლა ვიხრჩობი, -გაიფიქრა და ბოლომდე მაინც არ დაუჯერა თავს. აკი, სიკვდილის წინ მთელმა ცხოვრებამ თვალწინ უნდა ჩაგიაროსო? თვალწინ მარტო ზღვას ხედავდა და პერიოდულად საკუთარი ქშენა ესმოდა. ერთი კი გაიფიქრა, რა ისეთი ცხოვრება მე მქონდა, თვალწინ ჩავლად რომ ღირდესო, უკეთესია, თუ სულაც თვალით არ დამენახებაო. მაგრამ მისი სურვილი არავინ გაითვალისწინა და სანამ ფსკერისკენ წასვლას დაიწყებდა, ერთი სურათის ნახვა მოასწრო - ვარდისფერ იხვზე ზის, იხვისთვის რეზინის ყელზე ხელი აქვს წაჭერილი და წისქვილისკენ მიდის, რომელსაც წვიმა ამუშავებს. ვერაფრით გაიხსენა, ეს მისი ცხოვრებიდან იყო თუ არა და ფსკერისკენ მიმავალს იმაზე ფიქრი გაჰყვა, რომ შეიძლება სიკვდილის წინ ჩვენმა კი არა, სხვების ცხოვრებამ და განვლილმა თავგადასავლებმაც ჩაგვიაროს თვალწინ. შეიძლება ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როცა გგონია, რომ კვდები.

მაშველებმა წყლიდან რომ ამოიყვანეს, სუსტად სუნთქავდა. ნავზე დააწვინეს თუ არა, ერთ-ერთმა მაშველმა მაშინვე წამოიძახა:

-ბოტასებით ზღვაში რა უნდოდა ამ ჩემისას!..